საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/18 " 17 " მარტი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

პ. ნოზაძის თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 2 მარტის №1/12 განკარგულებით ინიცირებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. ინიცირება განხორციელდა სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლე პაატა ნოზაძის განცხადების საფუძველზე. რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ ვადაში სხვა მოსამართლეთა განცხადებები მიღებული არ ყოფილა.

მოსამართლე პაატა ნოზაძის მიერ განცხადებაში და გასაუბრებაზე აღნიშნული ოჯახური და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, პაატა ნოზაძე გათავისუფლდეს სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ, 2021 წლის 18 მარტიდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე